№ 114
სამშაბათი, 31 მაისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 114
სამშაბათი, 31 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ-
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის—სასახ
ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადების:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტ ფ ი ლ ი ს ი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

# ახალი ამბავი

*** კვირა საღამოს, 29 მაისს, ათის ნახევარ საათზედ ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორი, გენერალ-მაიორი ვიქტორ პავლეს ძე შატილოვი. განსვენებული ეხლახან შესრულდა მხოლოდ 44 წლისა და წარსულ შემოდგომიდგან ისე ძლიერ ავადმყოფობდა, რომ აღარავისა ჰქონდა იმედი იმას მორჩენისა. განსვენებული 1888 წლიდგან აღსრულებდა მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის თანამდებობას.

*** ექიმს ი. ზ. ლორის-მელიქოვს, თავისის ეხლახან გარდაცვალებულის მამის ზ. დ. ლორის-მელიქოვის სახსოვრად გაზ. „მშაკის“ რედაქციისთვის წარუგზავნია 400 მან. და უთხოვნია, რომ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებას დაურიგეთ და მათ შორის 100 მან. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებასაო“.

*** პატივცემულს ქართველ კათოლიკეთა მოძღვარს ვინმე მესხს (გვარამაძე) ქართულს ენაზე შეუდგენია ქართულ სიტყვათა ლექსიკონა, სადაც თოთხმეტი ათასი ქართული სიტყვა არის ჩაწერილი და ახსნილი, რომლებიც ჩუბინაშვილისა და საბა ორბელიანის ლექსიკონებში არ მოიპოვება.

*** ვენეტიკის მხითარისტების თვიურ ჟურნალს ერთ ნომერში დაბეჭდილია წერილი ქართველთ კათოლიკეთა შესახებ და ნათქვამია, რომ ქართველ კათოლიკეთა გვართვნობის აღორძინების საქმეს ერთმა მღვდელმა შეუწყო ხელი და საფუძველი დაუდოვო.

*** ტფილისის ხელოსანთა ამქრებმა უკვე დაიწყეს დალოცვა შეგირდებისა და ქარგლებისა.

*** გაზ. „Новое Время“ სწერს: ტფილისის გუბერნატორმა თ. შარვაშიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა პროექტი კავკასიის მკვიდრთა საზრდოს მხრივ უზრუნველ-ყოფისა. ამ პროექტს საგნად აქვს რაც შეიძლება გამოიზოგოს საზრდოს თანხა და იმიტომ მთავრობამ უნდა იზრუნოს გლეხ-კაცობის მეურნეობა ისე იყოს წარმართული, რომ მოუსავლობის დროს თავის გამოკვების სახსარი ჰქონდეს, მიწადმოქმედების გარეშეო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზეითალო კომიტეტში კომისიაა შემდგარი, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში ისეთი საზეითალო-საპოლიციო ღონისძიებანი იქმნას შემოღებული, რომ ცხვარი აცილებულ იქმნას ყოველისავე ჭირისაგან და ამავე დროს მეურნეობა წესიერად სწარმოებდეს. ამ კომისიის შედგენა გამოუწვევია სტავროპოლის გუბერნატორის განკარგულებას, რომ ცხვარს ნუ გაჰპარსავთ იმ დრომდე, ვიდრე ზეითალების მიერ არ იქმნება გასინჯულიო. ამ განკარგულებამ მეცხვარეები დიდს გაჭირვებაში ჩააგდო თურმე. ზეითალები მთელს გუბერნიაში ცოტაა, ამიტომ ძნელია რამდენისამე ათასის ცხვრის საჩქაროდ გასინჯვა და ცხვარი-კი, ადგილობრივ პირობათა გამო, ოცდა-ხუთი მაისისათვის დაპარსული უნდა იყოს, რათა სიცხეების დადგომამდე ცხავრს მატყლი ამოუვიდეს, რადგან სიცხე ძალიან აზიანებს გაპარსულს ცხვარსაო. ესეც არ იყოს, ცხვრის პარსვა იმ დროს, როდესაც გლეხ-კაცს მინდვრის სამუშაო აქვს, ძვირადა ჯდება, რის გამოც მატყლის ფასიც იწევს.

*** ს. დიდომი. წლევანდელი წელიწადი ჩვენთვის მართლაც რომ გამათახსირებელია. ჯერ იყო და სეტყვამ გაათხრა ჩვენი სარჩო-საბადებელი, წაჰლეკა საქონელი და უამისოდაც ღარიბ-ღატაკნი ცუდს მდგომარეობაში ჩაგვაგდო. მაგრამ იმით ვიყავით გულ-დაიმედებულნი, რომ ჩვენს სოფელში სახადი არ იყო. ეხლა ესეც გვესტუმრა, 20—25 მაისამდე ორგვარმა სენმა იჩინა ჩვენში თავი! ქუნთრუშამ და სახადმა. რამდენიმე ყმაწვილია ავად ქუნთრუშით და სახადით-კი მხოლოდ ერთი კაცია ავად და თუმცა ჯერ ისე გაძლიერებული არ არის ეს სენი, მაგრამ თუ რიგიანი ყურადღება არ იქმნა მიქცეული, მოსალოდნელია, რომ მთელს სოფელს მოედება ეს სენი და ჩვენს მუშაობას დიდად შეაფერხებს.

*** თელავი: 27 მაისს ცეცხლი წაეკიდა თელავის სასულიერო სასწავლებელს. დაიწვა შენობა ეკკლესიით, წიგნთ-საცავით და პანსიონის ტანისამოსით. განთიადისას გადაარჩინეს: კლასების ავეჯი, საქმეები კანცელარიისა და საწოლ ოთახების ავეჯი. ზარალი დიდია, სახლი დაზღვეული იყო.

*** ბორჯომი: 27 მაისს აქ დაირჩო მტკვარში 28 წლის ვაჟკაცი, გვარად დარჩო ა., რომელიც ზაფხულობით მოდიოდა ქალაქიდგან და თავისთვის ვაჭრობდა, ჰყიდდა უფრო ხილსა და მწვანილეულსა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: დარჩო ებრძოდა ჯანს და გაიგო თუ არა, რომ რკინის გზის ტელეგრაფის მოხელე მოსულა და ტელეგრაფს აკეთებსო, რომლისთვისაც საჭირო იყო გაღმა მტკვრის პირიდგან გატანა მავთულისა იქ, სადაც სადგური კეთდება მატარებლისა, მივიდა დარჩო ა. ტელეგრაფის მოხელესთან და გაურიგდა. გასატანი უნდა მიეცა 4 მან. საწყალმა მავთული წელზედ გამოიბა, წყალში შევიდა და დაიწყო ცურვა, მაგრამ მავთულმა დაამძიმა, წყალმა მავთული გაჭიმა და თითონაც შიგ ჩაითრია. ბევრს ეცადა, უნდოდა როგორმე მავთული წელიდგან მოეხსნა, მაგრამ თავს ვერ უშველა. დარჩობის შემდეგ მავთულს ქამარი გაეწყვიტნა, რაზედაც მავთული ება. გამოიტანეს მავთული, მაგრამ საცოდავი დარჩო-კი ვეღარ იპოვნეს.

*** სოფ. სკრა (ქართლი): მაისის 20—26-დე ისეთი ცუდი დღეები დაიჭირა, რომ გვეგონა, ეს არის ზამთარი უკანვე მოგვიტრიალდაო; ასე გასინჯეთ, ხალხის უმეტესმა ნაწილმა ზამთრის ტანთ-საცმელი ჩაიცვა. უამინდობამ თუმცა ხალხი შეაწუხა, საბაღლოდ, ყანებს დიდი შემწეობა გაუწია, მეტადრე ქერს ამ დროს ძრიელ უჭირდა, რომ ავდარი არ გასჩენოდა. ჩვენს სოფელში ყანები ისეთი მშვენიერია, რომ ავის თვალით არ ინახება; თუ თავთავის დაპურების დროს ამინდმა არ გვიმტყუნა, აურებელი მოსავალი მოგვივა. ხეხილსა და ვენახებსაც მშვენივრათ ასხია.

*** სოფ. ქარელი (ქართლი): მაისის უკანასკნელ დღეებში ცუდი დღეები დაგვიდგა, რის გამოც გავრ-

# ფელეტონი

### ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი.

ახალციხე მდებარეობს მდ. ფოცხოვზე, რომელიც ერთვის მტკვარს მარცხენა მხრიდამ 5—6 ვერსის სიშორეზე თვით ახალციხიდამ. ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიულს აღწერილობაში ახალციხეს ასე მოიხსენიებს: „არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად. ვინათგან, ისახელებს რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია): ამ ახალციხეს უდის წყალი თვისი სამხრით, და დასავლით ლივანის-ხევი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრეთად. ხოლო ქალაქი არს მოზღუდვილი ციხიდამ ქვითკირისა სამის ზღუდით: მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი მაჰმადიანნი და ვაჭარნიცა გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი და მცირედი მესხნიცა. ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულის არა ეგოდენ ცხელი: გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი: აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი კვალად ათაბაგადვე, ხოლო ოსმალნი ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიად სამცხე-საათაბაგო“. (ვახუშტის გეოგრ. გვ. 84, 86).

პირვანდელი სახელი ახალციხისა, როგორცა სჩანს, ყოფილა «ლომსია». აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი, როგორც თავის გეოგრაფიულს აღწერილობაში, ისე ქარტაში, შეცდომით უჩვენებს ლიკანის წყალს ახალციხის დასავლეთით. ნამდვილად ლიკანი ბორჯომის ხეობაშია, ბორჯომიდამ დასავლეთით, სამის ვერსის მანძილზედ, და ერთვის მარცხენა მხრიდამ მტკვარს და არა ახალციხის წყალს, როგორც ვახუშტი უჩვენებს. მხოლოდ იმ ადგილას, სადაც ვახუშტის ლიკანის წყალი აქვს ნაჩვენები, ამ ჟამად მოწანწკარებს სხვა პატარა წყალი, რომელსაც ხალხი უწოდებს წყურთულას და რომელიც ერთვის ფოცხოვის ანუ ახალციხის წყალს მარცხენა მხრიდამ, ერთის ვერსის სიშორეზე ახალციხიდამ.

ახალციხის დაარსების შესახებ ხალხში მაქვს გაგონილი შემდეგი ზეპირ-გადმოცემა: იქ, სადაც ეხლა ახალციხეა გაშენებული, უწინ საშინლად დიდი და გაუტეხელი ტყე ყოფილა. სოფელ მუსხიდამ, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარცხენა კიდეზე, ახალციხიდამ სამხრეთისკენ 10—12 ვერსის სიშორეზე, ჩამოსულა აქ ერთი კომლი კაცი, გაუტეხია ტყე და დასახლებულა. შემდეგ ნელ-ნელა სხვებიც მიჰმატებიან, გაუჩეხიათ ტყე, გაუშენებიათ სახლები და ამ გვარად დაუფუძნებიათ ქალაქი ახალციხე. ტყის გაჩეხის დროს, როგორც მოგვითხრობს ხალხი, უპოვნიათ ეხლანდელი მართლ-მადიდებელთა წმ. მარინეს ეკკლესია, ქართველ-კათოლიკეთა ჯვარის ეკკლესია და სომეხ-გრიგორიანთა წმ. სტეფანეს ეკკლესია. სამივე ქალაქის ძველს ნაწილშია.

საათაბაგოს დამოუკიდებლობის დროს ახალციხე ითვლებოდა ათაბაგების სატახტო ქალაქად. მხოლოდ 1625 წლიდამ, როდესაც ოსმალეთმა სამუდამოდ დაიპყრო ეს მხარე, 1828 წლამდე საათაბაგო შეადგენდა ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილს და ამისათვის ახალციხეში ბინადრობდნენ ოსმალთაგან დადგენილნი მმართველნი, რომელნიც იწოდებოდნენ არა ათაბაგებად, არამედ ფაშებად, და ხონთქარის მორჩილების ქვეშ აწარმოებდნენ თავიანთ საფაშოს მართვა-გამგეობას. ამ დროს განმავლობაში ახალციხის ქრისტიანები დიდს გაჭირვებასა და შეწუხებაში ყოფილან ოსმალთაგან. როგორც გამიგონია ზოგიერთ მოსწრებულ მოხუცთაგან, ქრისტიანებს არ შეეძლოთ ოსმალების შიშით არავითარი ქრისტიანული წესი აშკარად შეესრულებინათ: წირვა-ლოცვა, წესი ნათვლისა და ჯვარის წერისა, მარხვის შენახვა, თავიანთ დღესასწაულების გადახდა და სხ. ამისათვის ისინი იძულებულნი იყვნენ თურმე სადმე მიყრუებულ სახლში შეკრებილიყვნენ ჩუმად და აღესრულებინათ ყოველივე წესი ქრისტიანობისა. მარხვის დროს თურმე ყარაულები ჰყვანდათ დაყენებული ოსმალებს, რომლებიც ბუხრებიდამ ჩუმად ჰზვერავდნენ ქრისტიანებს, თავიანთ მარხვას ინახავენ თუ არაო. თუ შეამჩნევდნენ, რომ მარხვას ინახავენ, ვაი იმათ ტყავს, დიდს სასჯელსა და ტანჯვა-შეწუხებას მიაყენებდნენ. ქრისტიანებს არ შეეძლოთ თავთრებზე კარგად ჩაეცვათ და მათზე უკეთესად ეცხოვრათ. ამის შესახებ ერთმა 110 წლის მოხუცებულმა კაცმა, მომსწრემ ამ ვაი-ვაგლახისამ, მიამბო შემდეგი შემთხვევა, რომელიც თვითონ გადაჰხედოდა ოსმალთაგან: დედა ჩემმა მიყიდა ახალი ჩექმები და გავიარე ქუჩაში. ამ დროს შემხვდა ერთი თათრის ბიჭი და მითხრა: დაჯექიო. რათ უნდა დავჯდე, ვუპასუხე. დაჯექი, თორემ ეხლავე თავს მოგჭრიო, მიპასუხა მან. დამაჭირა მხრებზე ხელები დ დამსო. გამაშვერინა ფეხები, გამხადა ახალი ჩექმები, დაიჭირა იღლიაში და წაიღო არხეინად. დავრჩი ფეხშიშველა, უწინდო და დავიწყე ტირილი. შემდეგ დედა ჩემი წავიდა ფაშასთან საჩივლელად, მაგრამ სად იყო ჩვენთვის სამართალი: „თქვენ არ შეგიძლიანთ უჩვენოთ ახალი რამ ჩაიცვათ ან ჩვენზე უკეთესად იცხოვროთო“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამაზე უარესობა ისა ყოფილა, რომ ქრისტიანები შიშით თურმე პატარძალს ვერ მოიყვანდნენ და ახალგაზდა ქალი ქუჩაში ვერ გაივლიდა, თათრები უექველად მოიტაცებდნენ, თუ მოეწონებოდათ, და შეურაცხყოფას მიაყენებდნენ. აი ამგვარს გაჭირებაში და ტანჯვა-მწუხარებაში ყოფილან ახალციხის ქრისტიანები, ვიდრე არ გაჩნდა პასკევიჩი, რომელმაც 1828 წ. რუსის ჯარით აიღო ახალციხე და მით გამოიხსნა

ცელდა ანთება. ავად არის სამი დედაკაცი და ორი ბავშვი. ყანებს მშვენიერი პირი უჩანს; იმედია, წრეულ კარგი მოსავალი მოგვივა.

*** სოფ. ჭალადიდი (სამეგრელო): მაისის შუა რიცხვებში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა სოფელ ჭალადიდში. ერთმა სულით ავადმყოფმა ყმაწვილმა კაცმა, ასე ოცის წლისამ, ცულით მოჰკლა თავისი მამა. საქმე ასე იყო: ამ ყმაწვილის მამას სახლის გარედ გაულესია ცული და ის-ის იყო უნდა წასულიყო ტყეში ფიჩხის მოსატანად. თავის საუბედუროდ, თუთუნი მონდომებია და ყალიონით სახლში შესულა ცეცხლისათვის. ამ დროს გიჟი იქვე მდგარა გარედ მამასთან და მივალ მამას უკანიდან მიჰპარვია ცულით და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, თავში დაურტყამს მამისთვის. საწყალი კაცი იქვე დაცემულა და მეორე დღეს დიდის ტანჯვით განუტევებია სული. გიჟი-კი მეორე სახლში შესულა და კარები და ფანჯრები მაგრად დაუკეტია, არავინ შემომეპაროსო. მეზობლები ეხვეწნენ, მაგრამ გიჟმა კარი არავის გაუღო, სანამ ძალად არ შეამტვრიეს. გიჟი გამომძიებელს წარუდგინეს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს. ეს ყმაწვილი, აგერ ორი წელიწადია, რაც სულით ავადმყოფი ყოფილა, მაგრამ კაცს თურმე არაფერს ერჩოდა ამ უკანასკნელ დრომდეო.

*** სოფ. ნატოხაო (სამეგრელო): ხანგრძლივის გვალვებისაგან შეწუხებულებს, როგორც იყო, გვეღირსა წვიმა, 24—25 მაისსა. ცას შავი ღრუბელი გადაეფარა და ის-ის იყო დაუშვა ჟუჟუნა წვიმა. უნდა გენახათ ფუხარის სიხარული. სამი დღე იწვიმა და საკმაოდ გაძღო დედამიწა. სწორედ ზიარება იყო იმ დროს ეს წვიმა. ნაადრევ დათესილ ყანებს კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე. უმეტესი ნაწილი ყანებისა დღეს ითესება, რადგანაც გვალვები იყო. წლს აქეთ ნაგვიანევ მოსავალს მოელიან. სხვა ფრივ მშვიდობიანობაა. წითელამ თავი დაგვანება და სხვა მოარულს ჯერ-ჯერობით თავი არ უჩენია...

*** 28 მაისს ორბელიანის ქუჩაზე ფირალოვის სახლის მესამე სართულში მცხოვრებს ნიკოლოზ ბალატეროვს ძილის დროს სადგურში ქურდი შეეპარა. ბალატეროვს გამოეღვიძა და ქურდი გაიქცა, აივნიდგან გადმოხტა და ორივე ფეხი მოიმტვრია. ქურდი აღმოჩნდა ერევნის გუბერნიის მცხოვრებელი ალექსანდრე სულხანოვი, რომელიც სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

*** 29 მაისს ორბელიანის სახლის ნანგრევში ამოსთხარეს მექუდის გიგო ტერტომასოვის გვამი.

*** 30 მაისს გრიგოლ პეტროზოვი წაეჩხუბა სერგეი და ბუღდან მირზოევთ და დანით მსუბუქად დასჭრა ორივენი.

---

უგულითადეს მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც ღირს მყო და მომილოცა ჩემი ალრჩევა დეპეშით, თუ წერილით.

ილია ჭავჭავაძე

---

## ნაწყვეტები

—

მაგმარე ტანჯვა, ტრფიალმა  
ქარვად შემცვალა ლალია,  
ყოველს წამს წლითი-წლობამდე  
გულს შენთვის უკალალია,  
ცეცხლ ნავთმა ჯოჯოხეთისამ  
სული დამიწვა-დალია,  
შენ ძალ-გიძს მომცე სიცოცხლე  
და ამირანის ძალია.

დ. მაჩხანელი

---

## კორესპონდენცია

—

**დაბა ზუგდიდი,** 21 მაისი. ძლივს ეღირსათ ზუგდიდელებს თვისის გულითადის წადილის აღსრულება—დამტკიცება დაბა ზუგდიდისა ქალაქად. ამიერიდგან, უმაღლესის განკარგულების თანახმად, ამ დაბას ერქმევა ზუგდიდი-კი არა, გრიგოლიპოლი, სახელი მისი დამაარსებელის გრიგოლ დადიანისა.

ახლად დანიშნულმა მაზრის მართველმა თავადმა დადიშკელიანმა 1 მაისს, ნაწირევს, საყდრის ეზოში მიულოცა მოქალაქეთ ეს სასიამოვნო ამბავი და დაარიგა კიდეც ხალხი. ახლა მოვალენი ვართ ვიმოქმედოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც შეესაბამება ქალაქის წეს-წყობილებას,—ვეცადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, სუფთად და ლაზათიანად შევინახოთ ქალაქის ქუჩები და ჩვენი სადგომებიო... ამ რამდენისამე ხნის წინად დიდი შნო და უნარი გამოიჩინეთ და თქვენის მხნეობით დაარსდა სამოქალაქო სასწავლებელი, რომელიც, თუ კარგ ნიადაგზე იქმნა დამყარებული, ხელს შეგვიწყობს გონებრივსა და ნივთიერს განვითარებაშიო. მაგრამ მარტო ეს არ კმარა, უნდა ყურადღება მივაქციოთ სხვა საჭიროებასაცაო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ საზოგადოების სასარგებლო სამსახურის სურვილით და რომელთაც ავიწყდებოდეთ პირადი კერძო ანგარიში, როდესაც ამას მოითხოვს მოძმეთათვის უანგარო სამსახური. პირ-იქით ყველა გართულია თვის პირადს საქმეში. ვაჭარი ხომ მუდამ დღე თვის დავთარს ჩასცქერის და სულ იმის ცდაშია, რომ მოძმეთა მოტყუებით ქისა გაიტენოს. გონების განვითარება, ზნეობის განსპეტაკება ფიქრადაც არ მოსდის!!. გაიძვერა და მაწანწალა «აბლაკატები», რომელთა რიცხვიც, სამწუხაროდ, დღითი დღე მატულობს სამეგრელოში, ძარცვენ ხალხს და სთესვენ, ერთობისა, ძმობისა და სიყვარულის ნაცვლად, მტრობას, სიძულილს და განხეთქილებას მათ შორის. იმათის ჩაგონება - დარიგებით ჩვენი ხალხი აჭრელებს „პროშენიას“ და ძუნძულით მიარბევინებს სასამართლოში და ამით ეწევა უბრალო ხარჯს, რომელიც ალატაკებს მომჩივანს და „აბლაკატებს“-კი უვსებს ქისას.

მოზარდ თაობას თანდათან უძვირდება კარგის მაგალითის დანახვა და თითონაც ინთქება უაზრობისა და დაუდევრობის უფსკრულში. მთელს სამეგრელოში (გარდა სენაკისა), არც ზუგდიდში, და არც სხვა დაბა-სოფლებში ჯერაც არ დაარსებულა სამკითხველო და მომავალშიც აზრადაც არავისა აქვს მისი დაარსება. იმ დროს, როდესაც ჩვენი მოძმენი და მეზობლები—გურულები—იჩენენ სიმკვირცხლეს და საქმის უნარს ყოველგან: აარსებენ სამკითხველოს, დაბებში-კი არა, სოფლებშიაც, აარსებენ ყველგან სკოლებს, სადაც თავგანწირულად ილვწის ახალგაზდობა და სთესს კეთილსა და გამოსადეგს ცოდნას, ჩვენ გავყოლივართ კანონის წინაალმდეგს და საზოგადოების ალმაშფოთებელ მოქმედებას: კაცის კვლას, ქურდობას, ქალის მოტაცებას, ცეცხლის წაკიდებას და სხვ. იმ დროს, როდესაც ჩვენს მეზობლად, გურიაში, ბლომად იგზავნება ჟურნალ - გაზეთობა ჩვენში ოც — ორმოც ვერსის სიშორეზე, სანთლით რომ ეძებოთ, ვერ იპოვნით გაზეთის ნაფლეთსაც. განა ეს უკან ჩამორჩენა არ არის? განა ეს გონების სიღარიბე - სილატაკეს არ ჰმოწმობს? რომ გონება-ჩლუნგი, უნიჭო და ულაზათო ხალხნი ვიყოთ მეგრელნი, კიდევ ჰო-ჰო, მაგრამ... ღვთის მადლით, ნიჭიცა გვაქვს, სიმკვირცხლეც, მხოლოდ ჩვენს ბუნებით მონიჭებულ ნიჭს და სიმახვილეს შემზარავ-შემაძრწუნებელ საქმეებში ვავარჯიშებთ.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი საქმე ხეირიანად უნდა წავიდეს, მხოლოდ ჩვენ გვჭირია დახმარება, ხელის გამოწოდება, გვერდით ამოდგომა, რომ ჩაგვაგონონ კეთილის რჩევით და დარიგებით, სად არის ჭეშმარიტი გზა ცხოვრებისა.

იპოლიტე ვართაგავია

---

**გურია,** 24 მაისს. „ღალადი ერისა—ამ სიტყვებით ითარგმნების: პური და სამართალიო“, უთქვამს ჭკვიან კაცს. ჩვენი ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია ძალიან ცდილობს, რომ მისდამო რწმუნებული მაზრა ორისავე მხრით უზრუნველჰყოს ე. ი. ნივთიერადაც წინ წასწიოს და „ქმნა მართლისა სამართლისა“, რომელიც ხმელ ხეს გაანედლებს, არავის მოაკლოს. ის უკვე შეუდგა ყოველ საზოგადოების სათითაოდ დათვალიერებას და მკვიდრთა ავ-კარგის ადგილობრივ გაგებას. რამდენიმე საზოგადოება კიდევაც ინახულა და თავის აზრიანისა და გულ-მტკივნეულობით სავსე დარიგებით ყოველგან დიდ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი განურჩეველად წოდებისა. იმისი დაუზარელი მიმოსვლა საზოგადოებიდამ საზოგადოებაში ძალაუნებურად მაგონებს ერთს ჩვენში ყოფილ მაზრის უფროსს, რომელსაც პოლიციის ბოქაულმა მოახსენა, რომ სურებში სასკოლო ალაგის არჩევის შესახებ დასობანა გაიმართა, უკმაყოფილება ჩამოვარდა და კეთილ-ინებეთ ამ საზოგადოებაში მობრძანება, რათა უბნებად დაყოფილი დასები შევარიგოთ და სკოლისათვისაც სათანადო ადგილი შევარჩიოთო. მაზრის უფროსი ადგა და ქარტას დაუწყო ცქერა. როგორც იყო ნახა აჭარა-გურიის მთის კალთაში, სუფსის სათავესთან შეფარებული სურები, რომელსაც ქარტაში ერთის პატარა წერტილის ოდენა ალაგი ჰქონდა დათმობილი. აი ამ პაწაწკინტელა წერტილში დაიწყო მაზრის უფროსმა სურებისათვის სასკოლო ალაგის ძებნა და თუმცა ვერაფერს გახდა, მაგრამ ამ ყოვლად საჭირო საქმის გამო ფეხი მაინც არ მოუცვლია სურებისაკენ. როცა ასეთი არა სანუგეშო ამბები ვიცით ჩვენის მწარე ცხოვრებიდამ, როგორ მოგვითმენს გული, რომ ყოველი ადამიანური ნაბიჯი მაზრის ახალ უფროსისა სიამოვნებით არ ალვნიშნოთ.

22 მაისს ბ-ნმა ალშიბაიამ ინახულა ბახვის საზოგადოება, სადაც დიდხანს ელაპარაკა მრავლად თავ-მოყრილ ხალხს და სხვათა შორის სთქვა, რომ თითქმის ოთხი წელიწადი იქნება, რაც მთავრობა მეუბნებოდა გურიაში გადმოსვლას მაზრის უფროსად, მაგრამ მე ყოველთვის უარს ვამბობდი, რადგანაც გურიის და გურულების შესახებ არა სანუგეშო ამბები

---

აქაური ქრისტიანები თავიანთ ბედკრულ მდგომარეობიდგან. ალების დროს, როგორც მოგვითხრობს ხალხი, ახალციხე ძალიან აუოხრებიათ თვით რუსებს: ამ დროს ახალციხის ფაშა თავის ჯარით გამაგრებული ყოფილა ახალციხის გალავანში. პასკევიჩს, მთავარ-სარდალს რუსის ჯარისას, უთხოვნია ფაშისათვის ნებით დათმობა ახალციხისა, მაგრამ ამაზე დიდი უარი განუცხადებია. მაშინ მისდგომია რუსის ჯარი და მთელი ახალციხე ზარბაზნებითა და თოფებით გადაუწვამს. ამას ზედ მოჰყოლია მეორე წელს (1829 წ.) აჭარლების შემოსევა დ მათ მიერ აოხრება ახალციხისა დ ახალციხის არემარეთა. 1853—1855 წლებშიაც, თუმცა ოსმალოს ჯარი ოსდგომია ახალციხეს, მაგრამ, როგორც მოგვითხრობენ ამ ამბის მოწმენი, შიგ შესვლა დ აოხრება ქალაქისა ვერ გაუბედნია, რადგანაც აქ ამ დროს ცოტაოდენი რუსის ჯარი მდგარა, მხოლოდ ოსმალოს ჯარს ჩაუვლია ახალციხის გვერდით, ჩასულა აწყვერში და იქიდამ თურმე ტფილისში სდომებოდა ჩასვლა, მაგრამ ბორჯომის ხეობაში შეჰხვედრია რუსის ჯარი და დამარცხებული უკანვე გამოუბრუნებია. როგორც სჩანს „ქართლის ცხოვრებიდამ,“ ახალციხეს არც ამ საუკუნეზე წინად ჰკლებია დაწვა-დაბუგვა, აოხრება და განადგურება გარეშე მტერთაგან. აი, სხვათა შორის რასა ვკითხულობთ იქ ამის შესახებ: და ვითარცა ესრეთ იქმნა ქორონიკონსა როდ (1486 წ.) მოვიდა ყაენი იაღუბ ურიცხვითა ერითა და უბრძანა ერთსა თავადს და ლაშქარსა მისსა. „რათა ჩაუდგნენ და მოიცვეს სრულიად და იავარ ჰყვეს ქვეყანა სამცხესა და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა. ჰბრძოდეს დიდხან და ვერღარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი“, (ქ. ც. II გ. 262). ამ დროს ახალციხის მხარეში ათაბაგობდა მანუჩარ I (1475—1487 წ.) თითქმის ამ გვარივე მწარე დღე ახალციხეს დასდგომია ამაზე უფრო წინ, სახელდობრ 1414 წ. როდესაც ქართლის ცხოვრებისავე სიტყვით „თურქთა ახალციხე ამასწყვიდეს.“ (ქ. ც. I 473). ერთის სიტყვით, ახალციხეს თავის არსებობის დროს განმავლობაში ბევრი მწარე დღე, ბევრი ტანჯვა-ვაება ბევრი შეწუხება, ბევრი უბედურება და ვაივაგლახი დასტეხია თავს. არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა განადგურებული და გასრესილი მისი ნიადაგი, არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა მის მკვიდრთა მყუდრო ცხოვრება შერყეული და შეძრწუნებული გარეშე მტერთაგან და აი სწორედ ამგვარი ისტორიული გარემოება, ამგვარი წარსული მისი ტანჯვავაება და დაუწყნარებელი ცხოვრება სხვისა ხელში უნდა იყოს ერთის მხრით იმის მიზეზი, რომ ეხლა ახალციხის ქართველნი ძლიერ დაჩაგრულნი და დაქვეითებულნი არიან ცხოვრებაში, როგორც ნივთიერად, ისე გონებრივად.

ფოცხოვის წყალი ახალციხეს ჰყოფს ორ ნაწილად: მარჯვნივ მდებარეობს ახალი ნაწილი, გაშენებული ამ საუკუნის დამდეგს არზრუმიდგან გადმოსახლებულ სომეხთაგან, ხოლო მარცხნივ—ძველი ნაწილი. ახალს ნაწილს ხალხი უწოდებს მეტ სახელად პლანს, მხოლოდ ძველს ნაწილს—რაბათს. ორივე ნაწილი შეერთებულია ერთმანეთთან ხიდით, რომელიც როგორც გამიგონია, აუშენებია ერთს ხაჯი-ახმედ-ფაშას. ეხლა ეს ხიდი განახლებულია. მდებარეობა ძველის ნაწილისა უფრო მაღლობი და ხრიოკია, ხოლო ახალისა—უფრო დაბლობი. ამისათვის ზაფხულობით ძველს ნაწილში უფრო გრილი და სასიამოვნო ჰაერია, ვიდრე ახალში. თუმცა ხილის ბაღები ახალს ნაწილში ბევრია, მაგრამ ვენახები-კი, არამც თუ ახალციხეში, არამედ მთელს ახალციხის მაზრაშიაც აღარ მოიპოვება, თუმცა-კი ნიშნები მათის არსებობისა ამ მხარეში ბევრია. ახალი ნაწილი უფრო მხიარულად და შნოიანად გამოიყურება, ვიდრე ძველი. ძველი ნაწილი ანუ რაბათი ისე შავად მოსჩანს შორიდამ, რომ ერთის შეხედვით კაცს ეგონება უბედურება რამ დასტეხია თავს და მგლოვიარედ არისო. ნამდვილი მიზეზი-კი ამისა ის არის, რომ რაბათში თითქმის სულ ძველი შენობებია დარჩენილი, ნაგები ქვითა და ტალახით, დახურული მიწით, მომეტებულ ნაწილად უაივნო და ამასთანავე თითქმის ნახევარზე მიწაში ჩამალული. ახალის ნაწილის შენობები-კი სულ ახალია: ქვითკირისა, თუნუქის სახურავით, შემკული აივნებით და მომეტებულ ნაწილად მოწყობილი ევროპიულს გემოვნებაზე. ქუჩებიც ახალის ნაწილისა უფრო უკეთესია, ფართო და ამასთანავე დაფენილია ქვით; მხოლოდ ძველის ნაწილისა—ვიწრო, უსუფთაო, დაუფენელი ქვით და იმისთანა ოღროჩოღრო, რომ ზოგან ფეხითაც საძნელოა სიარული არამცთუ ეტლით. უსუფთაოა უფრო უბანი ურიებისა, რომელნიც საზოგადოდ განთქმულნი არიან ახალციხეში თავიანთ ბინძურის ცხოვრებით. ლიფლიფები ძველს ნაწილში თუმცა არის ზოგ ქუჩაზედ, მაგრამ ძალიან ცოტა, ზოგანაც სრულებით არ მოიპოვება, თუმცა ეს ყოვლად საჭიროა იმისთანა უსწორმასწორო და ტალახიან ქუჩებისათვის, როგორიც არის ქალაქის ძველს ნაწილში. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ძველს ნაწილს, არ ვიცით რა მიზეზისა გამო, არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული იმათ მხრივ, რომელნიც მოვალენი არიან პატრონობა გაუწიონ ქალაქს და მის მკვიდრთა კეთილ-დღეობისთვის იზრუნონ. მათ მოქმედებაში სრულებით არ იხატება საერთო ზრუნვა ქალაქის ყველა მცხოვრებთა და ნაწილთა შესახებ, ნამეტნავად იმ მცხოვრებთა და ნაწილთა შესახებ, რომელნიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებასა და შემწეობას. ძველი ნაწილი და მისნი მკვიდრნი ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებასა და შემწეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლებად იმათ აქვთ მიქცეული ყურადღება, ყველაზე მეტად ეს ნაწილია დატოვებული უყურადღებოდ და უპატრონოდ.

(შემდეგი იქნება

მესმოდა. ბოლოს მიბძანეს წამოსვლა და ბრძანების წინააღმდეგ აბა რაღა გამივიდოდა. მოვედი აქ, დავუკვირდი თქვენს ცხოვრებას, რამდენადაც მოვასწარი ამ ცოტა ხანში, და ჩემდა სასიამოვნოდ და თქვენდა სასახელოდ ვრწმუნდები, რომ რასაც გურიისა და გურულების შესახებ სამწუხარო ხმებსავრცელებდნენ, თითქმის ყოველი იმათგანი გაბერილი და გაზვიადებული ყოფილა. აქ რწყილის აქლემად გარდაქცევა სცოდნიათ. დიაღ, მე ყოველსავე ამაში ვრწმუნდები, მაგრამ უნდა იცოდეთ, მარტო ჩემი დარწმუნება არა კმარა იმისათვის, რომ უმაღლესს მთავრობის წინაშე თქვენი გატეხილი სახელი გამთელდეს და რაც ჟამთა ვითარებამ თქვენ მოქალაქობრივ ცხოვრებას ჩირქი მოაცხო—წარიხოცოს. თქვენი წყურვილი და სურვილი სწავლა-განათლების მისაღებად, თქვენი საერო და სამრევლო სკოლები, თქვენი სამკითხველონი, თქვენი ბუნებრივი ნიჭი და გამჭრიახობა, თქვენი ადამიანური თავმოყვარეობა უტყუარი თავმდებია იმისი, რომ ახლო მომავალში თქვენი მაზრა ერთი პირველთაგანი იქნება მთელს გუბერნიაში. რასაკვირველია, თითო-ოროლა თქვენშიაც გამოერევა უქმი, მოჩხუბარი, გარეწარი და ცუდ გზაზე დამდგარი ადამიანი. თვალი და ყური ადევნეთ ისეთ კაცებს და ეცადეთ იმათ გასწორებას და თუ გასწორება არ მოუხერხდეს, მოიშორეთ თავიდამ. ხომ იცით, რომ „ერთმა ქეციანმა თხამ ათასი თხა გააქეციანაო“. „უქმთა ჰამა არა გამწესებულ არსო“ საღმრთო წერილი ამბობს. ნუ გინდათ თქვენ შორის მუქთა-ხორები! ესენი არიან, რომ თქვენ უმანკო და მშრომელ ადამიანებს ქეცს შეგყრით, თქვენ პატიოსან სახელს ჩირქს მოაცხებს. თორემ მშრომელი და მოსაქმე კაცი საავაზაკოდ რომ ვერ მოიცლის, ეს ყველამ იცისო.

შემდეგ ამისა სწავლის მნიშვნელობა-სარგებლობაზედ ჩამოაგდო მაზრის უფროსმა ლაპარაკი და ამის შესახებაც დიდხანს ისაუბრა. მარტო წერა-კითხვის ცოდნა არ ეყოფა თქვენს შვილებს, თუ წერა-კითხვასთან ერთად სამეურნეო სწავლა-ცოდნაც არ ექმნებათ მიღებულიო. სამეურნეო ცოდნა ჰქვიან: მიწის შემუშავებას, მებაღეობას, მებოსტნეობას, მევენახობას, მეფუტკრეობას, აბრეშუმის მოყვანას და სხვ. თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ და სთქვათ: მიწის მუშაობას რაღა სწავლა უნდაო! მაგრამ უნდა იცოდეთ, სწორედ აქ არის სწავლა და ხერხი საჭირო. მიწა გამოიფიტა, დაღალდა, იმდენ მოსავალს აღარ იძლევა, რამდენსაც წინად იძლეოდა. იმას თავის შესაფერი გაპატივება და შემუშავება ეჭირება, რაიცა ჩვენ არ ვიცით და თუ ჩვენმა შვილებმაც არ ისწავლეს, გაღატაკდებიან. თქვენს სკოლასთან, მადლობა ღმერთს, კარგად გაშენებული ბაღ-ბოსტანი, ვენახი და საფუტკრე ყოფილა *), აქ თქვენი შვილები ივარჯიშებენ და ცოტაოდენი ცოდნა გაჰყვებათ მეურნეობისა, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ კმარა და ამიტომ ცალკე სამეურნეო სასწავლებელი უნდა დავაარსოთ, სადაც იმდენი ცოდნა უნდა შეიძინოს თქვენმა შვილებმა, რომ ცხოვრებაში გამოიყენონ. თითონ თქვენც ეცადეთ და გაიუმჯობესეთ თქვენი ცხოვრება მაგ მხრივ. შეხედეთ, რასა ჰგავს თქვენი ძროხები! ძვალ-ტყავად ქცეულან, ძლივს დადიან და ზოგიც რომ დაწვება, ადგომის თავი აღარა აქვს. თქვენ კიდევ ჩივით, წველა აღარა აქვს ჩვენს ძროხებსაო. წველა საიდამ ექმნება, რომ ბალახი არა აქვთ. ერთნაირი ბალახია, იონჯა ჰქვიან, წელიწადში სამ-ოთხჯერ მოიცელება. თუ ვინმეს სურვილი გაქვთ, გამოვიწერ და ნახავთ, როგორი სასარგებლო დარჩესო.

ბახვიდამ მაზრის უფროსი მახლობელ სოფელ ასკანას გაემგზავრა, სადაც სოფლის მოხელეთა არჩევანები უნდა მოეხდინა. ეს ის ასკანა გახლავთ, ამას წინად რომ არჩევანების დროს დაერივნენ ერთმანეთს კეტებით და ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს. მაგრამ ეხლა მაზრის უფროსის დარიგებამ იმდენად იმოქმედა საზოგადოებაზე რომ ერთი ურიგო სიტყვაც არავის წასცდენია ისე წესიერად დასრულდა არჩევანები.

„მამასახლისიო, უთხრა მაზრის უფროსმა ხალხს, დაუკვირდით ამ სიტყვას, ეს ისეთი კაცი უნდა იყოს, რომ თითოეულის სახლის და ოჯახის გულისათვის, თითოეულის თქვენგანისათვის ისე ზრუნავდეს, როგორც კარგი მამა თავის საკუთარ ოჯახისა და შვილებისათვის. რასაკვირველია, მამასახლისს უფროსები ვყევართ, მაგრამ ვიდრე მათ ოინებს ჩვენ გავიგებდეთ: „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო“ იმისი არ იყოს, თქვენ თქვენი დაგემართებათო“...

მამასახლისად, ცოტა ბჭობა-თათბირის შემდეგ, აირჩიეს ახალგაზდა კაცი სოლომონ ქეიშვილი, ოთხ-კლას დამთავრებული სასულიერო სასწავლებელში და გაგებული ყმაწვილი, რომელიც ითვლება ასკანაში სახალხო სამკითხველოს დამაარსებლად. ეს პირველი მაგალითია გურიაში, რომ ინტელიგენტი აერჩიოთ მამასახლისად და ღმერთმა ჰქნას, რომ ქეიშვილს გაემართლებინოს საზოგადოების ნდობა და იმდენი სიკეთე მოეტანოს თავის სოფელში, რომ სხვა სოფელთათვის დარჩენილიყოს სამაგალითოდ.

ლ. წულაძე

---

*) ბახვის სკოლასთან მართლაც მშვენიერი ბაღია, ახლად გაშენებული. თითონ საბაღე განყოფილება ჯერ არ არის დამთავრებული, მაგრამ საქმის დასაწყისი ისეა მოგვარებული, რომ უეჭველად შედეგიც კარგი ექნება. სამაგიეროდ სავენახე განყოფილებაა შესანიშნავი მით, რომ აქ ევროპიულ ჯიშის ვაზებია გაშენებული. წელს შიგა და შიგ მოსხმულიცაა და ვნახოთ რა იქნება. საფუტკრეც მშვენივრად არის მოწყობილი. გავკადნიერდები და ვურჩევ გურიის ყველა სოფლის მასწავლებელთ, რომ ეს ბაღი დაათვალიერონ. მე მგონია, მადლიერნი დამრჩებიან ამ რჩევისათვის, რადგანაც ამ ბაღის ნახვა მათთვის სამაგალითო განკვეთილი იქნება.

---

**ლეკეთი.** (ყუბის მაზრა) მაისის 20. მაისში მომიხდა მგზავრობა ს. ხუდატიდგან ს. ახეტაში. გზაზედ ვნახე მრავალი სოფელი ლეკისა; უფრო შესანიშნავია მათში ორი სოფელი. ერთი იმანყულიქენთი მეორე—ხაზრა. ამ ორ სოფელში არსებობს სამინისტრო ერთ-კლასიანი სკოლები. ს. იმანყულიქენთში ორასი კომლია და ხალხი მდიდრულად სცხოვრობს, მაგრამ სკოლა არა სწამთ, ჩვენი სკოლა ჩვენი მოლა არისო; როგორც ჩვენ მამა-პაპას უწირავს, ჩვენც ისე გვინდა ვსწიროთო, სკოლის მასწავლებელი თათარია კურს-დამთავრებული. ყმაწვილებს კარგად უთარგმნის რუსულიდგან ლეკურად და ყმაწვილებიც ხალისიანად სწავლობენ, მაგრამ დედმამათა დაუდევრობის გამო სკოლაში დაიარება ათამდე ყმაწვილი. მასწავლებელი უქადაგებს ხალხს სკოლის სარგებლობას, მაგრამ ისინი მაინც ყურს არ იბერტყავენ და მასწავლებელსაც ხალისი ეკარგება.

გლეხები მისდევენ ხვნა-თესვას და ცხვრის მოშენებას, მათი დედაკაცები-კი ერთავად ხალებისა და სუმაღების (ფარდაგების) ქსოვას უნდებიან. საზოგადოდ, მთელ ბაქოს გუბერნიაში გათქმულია იმანყულისქენთის ხალები და სუმაღები, რომელიც ძალიან იაფად იყიდება.

ს. იმანყულიქენთიდგან პირდაპირ გავემგზავრე ს. ხაზრაში, სადაც სამასამდის კომლია. ხაზრელებს კარგად შეუსმენიათ სკოლის სარგებლობა; დედ-მამანი ხელს უწყობენ თავიანთ შვილებს სკოლაში სიარულისათვის. ოც-და-ათამდისინ ყმაწვილი სწავლობს აქ. მასწავლებლად რუსია, რომელმაც არ იცის ლეკური და, რასაკვირველია, ამის გამო ძლიერ უჭირდება სწავლება ყმაწვილებისა. რა თქმა უნდა, მასწავლებლად რომ თათარი ყოფილიყო, მაშინ სწავლა უფრო წარმატებით იწარმოებდა.

ს. ხაზრა მდებარეობს მდინარე სამურის ხეობაში. აქაც მისდევენ ხვნა-თესვას, ხეხილის ბაღების გაშენებას და ცხვრის გამრავლებას. იქაურებმა მიამბეს, რომ სამურის ხეობაში დიდი მოსავალი მოდისო; ყველას გვაკმაყოფილებს და გასასყიდადაც გვრჩებაო. ხალხი ჯან-მრთელია, და წყალი მშვენიერია. ს. ხაზრიდგან იწყება სამურის მაზრა და ხეობას ორივ მხრივ მაღალი კლდიანი მთები არტყია და წვერზედ გაშენებულია მრავალი სოფელი ლეკებისა; სახნავ-სათესი ადგილები ამ მთიულებს ნაკლებად აქვთ და უფრო აქეთ-იქით დადიან სამუშაოდ. შეშის სიძვირე დიდია აქეთ, საჟენი ჰღირს 18—23 მან. შეშის მაგიერ წივას ხმარობენ. აკეთებენ აგურებივით, სიგრძით ნახევარ-არშინიანებს, ახმობენ მზეზედ და იმასა სწვავენ ზამთრობით.

ს. ახტაში არსებობს ერთი კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომლის მასწავლებლად არის ვართამნელი თათარი ჯალილ-ბეგ ბაბაევი, ამ ახალგაზდა მოღვაწეს მეცადინეობით სკოლაში დაიარება სამოცამდის ყმაწვილი. სამურის მაზრის უფროსს განზრახვა აქვს გაუჩინოს ამ სკოლას ოთხიოდე დღიური მიწა და დაავალოს მასწავლებელს სწავლება მეურნეობისა, ბაღოსნობა და ბოსტნეულობა.

ახტა იმით არის შესანიშნავი, რომ ამ სოფლიდამ შვიდ ვერსის სიშორეზედ არსებობს ცხელი წყლები, სადაც სახემწიფოდ გაუმართამთ შენობები და კარგი ჰაუზები; წყლები ძალიან მარგებელია და ბევრ ნაირს ავადმყოფს არჩენს: ზაფხულობით ამ წყლებზედ იკრიფება დიდ ძალი ხალხი სხვა-და-სხვა მხრიდგან. ახტაში ლეკებს გარდა ცოტაოდენი რუსებიც სცხოვრობენ, უფრო სამსახურის ხალხი და ორასამდის ჯარის კაცია დაბანაკებული.

ლეკებსა და რუსებს შუა სუფევს დიდი ერთობა და ერთმანერთში მისვლა მოსვლა. საზოგადოდ მაჰმადიანებს ჩვენ სამღვდელო პირებთან არა აქვთ ერთობა, მაგრამ აქაურს ლეკებს-კი ისე ჰყავთ მიღებული აქაური სამხედრო მღვდელი მამა მ.—შვილი, რომ არ იციან, რითი ან როგორ ასიამოვნონ. რუსებმა სტუმრად, რომ მიიწვიონ ლეკები, მაშინადვე იმას ეტყვიან, თუ ჩვენი ყონაღი მღვდელი არ იქნება, ჩვენც არ წამოვალთო. თუმცა ასე ეტყვიან ქრისტიანებს, მაინც თავიანთ რჯულზედ მტკიცედ სდგანან და ამტკიცებენ, რომ რჯულის მოღალატეს ხეირი არ დაეყრებაო. ვინც რჯულს გამოიცვლის, ის ბარაქას ვეღარ მოჰკიდებს თავის ოჯახსაო. სწორედ მოგახსენოთ, მართლა ასე შემინიშნავს საინგილოში, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები სცხოვრობენ: იმათ ქონება ძალიან ნაკლებადა აქვთ და ძალიან ღარიბადაც სცხოვრობენ.

ს. ხუდატი.

არჩილ დარეჯანაშვილი

---

ბ-ნ ან. ფურცელაძის წერილის პასუხად, რომელიც წარსულს ჩვენს გაზეთში იყო გადმობეჭდილი, გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ივანე სულხანიშვილი სწერს გაზ. „Нов. Обозрѣніе“-ს: თქვენ გაზეთში დაბეჭდილია წერილი ბ-ნის ფურცელაძისა, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ქალაქ გორში მომხდარ სამორიგო მაზრის კრების ოქმში გამოტოვებულიაო ჩემი ცალკე აზრი მამულის „სკრის“ შესახებაო. ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა. მე მივიღე გორიდგან ჩემის საქმეთა-მწარმოებლისაგან დედანი ოქმისა, რომელშიაც მისი ცალკე აზრი ძნელად გასარჩევის ხელით არის წარწერილი. სათქმელია ისიც, რომ ამ ცალკე აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სათავად-აზნაურო კრებაზედ ყოველი საგანი ხმის უმეტესობითა სწყდება ხოლმეო“. ამ წერილს რედაქცია შენიშნავს: „ცალკე აზრს მნიშვნელობა აქვს იმისათვის, ვინც ის აზრი წარაწერა, და თუ ვერ გაარჩიეს იგი, ჩვენის აზრით, ეს გარემოება უნდა აღენიშნათ ოქმში“.

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიის ამბები ცოტ-ცოტა უფრო გამოირკვა. უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილ წერილების შემწეობით ადამიანს შეუძლიან გაითვალისწინოს, როგორ მომხდარა ამ პაწია სამთავროს პირველ მინისტრის სტამბულოვის სამსახურიდგან გადადგომა. სტამბულოვმა წერილი გაუგზავნა, თურმე პრინცს ფერდინანდს და ამ წერილთან იყო არზაც სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. წერილის მიღებისათანავე პრინცმა დაიბარა თავისთან თავისი პირველი მინისტრი 29 მაისს და თითქმის სამს საათს ელაპარაკა. სტამბულოვმა თვით აუწყა საყოველთაო მიწერილობით პრეფექტებს, რომ შესანიშნავი მიზეზი იძულებულ მყოფს უეჭველად თავი დავანებო სამსახურსაო.

30 მაისს სოფიის ქუჩებში ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. ბოლგარიის სტუდენტები რამდენჯერმე შეეტაკნენ სტამბულოვის მომხრეებს. სტამბულოვის სახლის წინ კრების წევრმა იოვევმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა დ განაცხადა: დიდად სამწუხაროა, რომ უღირსმა ინტრიგებმა იძულებულ ჰყვეს მეთაური კაბინეტისა, თავი დაანებოს სამსახურს და სტამბულოვსა ვსთხოვთ უარ-ჰყოს თავისი სურვილი, ნუ დაანებებს თავს სამსახურსაო. სტამბულოვი ბალკონზედ გამოვიდა და გრძელის სიტყვით განაცხადა: რომ ერის უფლების და მთავრობის ღირსების უზრუნველ-საყოფლად იძულებული ვარ სამსახურს თავი დავანებო. როდესაც ჩემი არზა შეწყნარებულ იქმნება, ისევე ვიშრომებ ბოლგარიის სასარგებლოდ, როგორც უბრალო მოქალაქე, ქვეყნის გულ-მოდგინე მსახური ვიქმნები და პრინცის ერთგული ქვეშევრდომიო.

სხვათა შორის აი რა უთქვამს სტამბულოვს გაზ. „Neue Freie Presse“-ს კორესპონდენტისათვის: „არ შეეფერება ერის უფლებასა და მთავრობის ღირსებას, როდესაც მეფე ისე ეკიდება კაბინეტს და ამ კაბინეტის მეთაურს, როგორც ამ ბოლოს დროს იგი მეკიდებოდაო. ან რა საჭირო იყო შეურაცხება და ოპოზიციის დახმარება. ვუბრუნდები კერძო ცხოვრებას და ვებრძოლები მხოლოდ იმათ, რომელთაც, ჩემის ფიქრით, არ ძალ-უძთ ბოლგარიის მართვა, სახელდობრ, ახალს მინისტრებს. რაც შეეხება პრინცს, დღეიდგანაც ისე მოვექცევი, როგორც აქამდე ვეპყრობოდი. რაც შეეხება იმ სტუდენტებსა და აფიცრებს, რომელთაც ჩემს წინააღმდეგ ქუჩის უწეს-რიგობასა და არეულობაში მიიღეს მონაწილეობა, იმათი საქციელი სამარცხვინოა, რადგან, ჩემის აზრით, როგორც სასწავლებელი, ისე ჯარი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო“.

რაც შეეხება ახალს სამინისტროს ბოლგარიისას, სტოილოვის მეთაურობით შემდგარს, ყველა მინისტრნი უკვე მსახურებდნენ ამ თანამდებობაზედ, უმთავრესად 1868 წლის სამინისტროში, რომელიც შესდგა მთავარ-ალექსანდრეს ტახტიდგან გადადგომისა და სტამბულოვისა და მუტკუროვის რეგენტობის დროს. ამ წელიწადს სტოილოვი იუსტიციის მინისტრი იყო, ხოლო 1887 წელს-კი მინისტრ-პრეზიდენტი და ფინანსთა მინსტრი. უკანასკნელ წლების საპოლიტიკო საქმეთა მიმდინარეობაში დიდი ადგილი არ ეჭირა, მაგრამ მაინც იგი ოპოზიციის ერთი გავლენიან წევრთაგანი იყო. ბოლგარიის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი ნაჩევიჩი ამავე თანამდებობაზედ იყო 1886—1887 წელს, ამას შემდეგ ვენას იქმნა გაგზავნილი ბოლგარიის სადიპლომატიო აგენტად და ყოველთვის მტრულის თვალით უყურებდა რუსეთს. 1891—1893 წ. იგი ფინანსთა მინისტრად იყო და სამინისტროს თავი დაანება, რადგან უსიამოვნება მოუვიდა სტამბულოვთან იმის მომხრეთა მიერ უფლების ბოროტად მოხმარებისა გამო. როდოსლავოვი მინისტრ-პრეზიდენტად არის ნამყოფი, ხოლო გეშოვი-კი-1886 წელს ფინანსთა მინისტრი იყო ბოლგარიისი.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ერთმა ხთის წლის გოგონამ, რომლის მშობლებიც ინდიანოპოლისს ახლო სცხოვრობენ, ამას წინად საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან ჯილდოდ მიიღო ჯვარი საპატიო ლეგიონის ორდენისა. აი მიზეზი ამ გოგონას ასე დაჯილდოვებისა. წარსულს წელს იგი დასეირნობდა თურმე რკინის გზის ლიანდაგზედ და უცბად შენიშნა, რომ ხიდს ცეცხლი წაჰკიდებოდა. მაშინვე წითელი იუბკა გაიძრო და სირბილითა და ამ იუბკის ქნევით მიეგება საგანგებო მა-

ტარებელს, რომელიც იმ ხიდს უახლოვდებოდა. მეშინემ ნიშანი დაინახა და დროზედ შეაჩერა მატარებელი, რომელშიაც 700-მდე კაცი იყო ჩიკაგოს გამოფენაზედ მიმავალი, და რომელნიც უეჭველად დაიღუპებოდნენ. ამ მგზავრთა შორის ერია რამდენიმე ფრანგიც, რომელთაც ეს მამაცობა პაწია გოგოსი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს აცნობეს თურმე.

**

პარიზის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ თავისს უკანასკნელს საზოგადო კრებაზედ ჯილდო დაურიგა სხვა-და-სხვათ და, სხვათა შორის, და აგინა: საპატიო საყელოთი დააჯილდოვოს მალლი, რომელსაც იმისდა მიუხედავად, რომ პატარაა, დიდი სამსახური მიუძღვის კაცთა წინაშე. ამ მალლს ჰქვიან „სულტანი“ და სულ ოთხის წლისაა. საკვირველად ღონიერი და კარგად გაწვრთნილია და ამასთან საოცარი ალღო აქვს. ერთხელ ამ მალლმა ქურდი დაიჭირა, მეორედ—შეუშალა ხელი ავაზაკს, რომელსაც კაცის მოკვლა უნდოდა. წარსულს წელს კიდევ ერთი კაცი მდინარე სენაში გადავარდა და თავის დარჩობა უნდოდა, მაგრამ ეს მალლი მაშინვე თან გადაჰყვა ხიდიდგან გადავარდნილს და ამოიყვანა. ყოველ ამ ღირსებასთან „სულტანი“ დიდად გულ-კეთილი პირუტყვია და თავისს უბანში დიდი მეგობარია მოცელქე და მოთამაშე ყმაწვილებისა. საინტერესოა ისიც, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც „სულტანი“ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრებას წარუდგინეს და საპატიო საყელოთი უნდა დაეჯილდოვებინათ, უცბად საზოგადო კრებიდგან სადღაც მიიმალა. „ნუ გიკვირთ, ბატონებო, სთქვა ამის შესახებ თავმჯდომარემ: ხომ ჰხედავთ, „სულტანიც“, როგორც ყოველი ჭეშმარიტი გმირი, მორცხვია და არა პატივ-მოყვარეო.“

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ჩემისა და ჩემდამო რწმუნებულ უჯარმის სამრევლო სასწავლებლის შეგირდების მაგიერ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო პოლკოვნიკს ქრისტეფორე მამაცაშვილს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ სამრევლო სასწავლებლს 17 ნომერი ამ წლის ჟურ. „კვალი“ და დაგვპირდა დანარჩენ ნომრების შემოწირვასაც. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბ-ნს ონისიმე ჩაკამეს რომელმაც შემოსწირა საყმაწვილო ჟურ. „ჯეჯილი“ 1892 წ. სამი ნომერი.

მღ. ეგ. მ—შვილი

# დეპეშა

28 მაისი

**ლონდონი.** ჩინეთის გენერალი ტინგი, რომელსაც მინდობილი აქვს არეულობის მოსპობა მანჯურიაში, კირინს გაემგზავრა. საქმე იმაშია, რომ ჩინეთის მოშენენი სარგებლობდნენ იმ მიწით, რომელიც ორმოცის წლით ყოველისავე გარდასახადისაგან განთავისუფლებულია. თუმცა ამ ვადის გასვლას კიდევ ორი წელიწადი უკლია, მანჯურის მამასახლისები ძალით ართმევენ ხალხს მიწის გარდასახადს. ხალხი წინააღმდეგობას უწევს; მეკობრენი მიემხრნენ ხალხს, რათა ამ უთანხმოებისათვის ისეთი ხასიათი მიეცათ, ვითომ ხალხი იარაღით აღსდგა საიმპერატორო უფლების წინააღმდეგაო.

29 მაისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული გუშინ გატჩინოდგან საზაფხულოდ პეტერგფოს გადავიდნენ.

ხმა დადის, სახელმწიფო საბჭომ შესაძლებელად დაინახა, რომ რკინის გზით სამოგზავრო ბილეთებზედ სახელმწიფო გარდასახადი, აწ არსებულ 25% ის ნაცვლად, 15% დაადგინოსო.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი ზაგუბინი იგზავნება ორის წლით ჩინეთსა, იაპონიასა, კორეასა და შეერთებულ შტატებში ჩინეთისა და ყვითელის ზღვების ნავთსადგურების დასათვალიერებლად იმ აზრით, რომ რუსეთმა ამ ადგილებთან სავაჭრო ურთიერთობა გაჰმართოს რუსეთისათვის სასარგებლო პირობით.

ამ ზაფხულს პეტერბურგში აარსებენ მეჰაეროსტატეთა კლუბს. საჭირო ფული ამ საქმისათვის უკვე მოპოვებულია და კლუბის წესდებაც დამტკიცებულ იქმნება.

**სოფია.** რუშჩუკის მიტროპოლიტმა გრიგოლმა მიჰმართა პრინცს ფერდინანდს და უთხრა, რომ იმ ამბავთა შემდეგ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტახტისა, ერისა და ეკკლესიისათვისაო, სინოდმა პირველ შეიძლო მოკრებილიყო სესსიაზედ და მიელოცნა პრინცისათვის ჯვარის დაწერა და შვილის დაბადება; სინოდი დარწმუნებულია, რომ ტახტის მემკვიდრე აღზრდილი იქმნება ბოლგარიის ერის სარგებლობისა და ზნე-ჩვეულების შესაფერად, რათა იგი შეიქმნეს პირველი თავმდები ქვეყნის კეთილ-დღეობისაო.

თითქმის ყველა საადმინისტრაციო დაწესებულება მიემხრო ახალს მთავრობას; რამდენმამე წინანდელ მთავრობის მომხრე საქალაქო მმართველობამ თავი დაანება სამსახურს.

30 მაისი

**სოფია.** გაზ. „თავისუფლება“-ში გამოცხადებულია პროგრამა ოპოზიციის საგარეო პოლიტიკისა. ლიბერალთა დასი ცდილობს [illegible]ეთის პ[illegible]რობით შეეკრას ოსმალეთს, რომ მტერზედ მისევისა თუ მტრის შემოსევის დროს ოსმალეთმა და ბოლგარიამ ერთად იმოქმედოს; ცდილობს აგრეთვე დაუფარავად ხელი შეუწყოს სამთა-კავშირსა და ინგლისის პოლიტიკას ბალკანეთში; პროგრამაში მოხსენებულია ისიც, რომ საჭიროა მეგობრობა ვიქონიოთ ბალკანეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით რუმინიასთანაო; საჭიროა აგრეთვე ხელი შევუწყოთ იმას, რომ პრინცი კობურგისა კანონიერ მთავრად იქმნას აღიარებული, ხოლო ისე-კი, რომ არ დაიღუპოს არც დამოუკიდებლობა ქვეყნისა და არც თვით პრინცი.

# განცხადებანი

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ საზოგადო კრება ამხანაგობისა იქმნება 5 ივნისს. განსახილველი საგნები:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის“ მოქმედებისა 1893 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1893 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1894 წ.
4 მოხსენება გამგეობისა შესახებ სწავლის ფულის გადახდისა ერთის რომელისამე ღარიბი შაგირდისათვის ალ. ყაზბეგის სახსოვრად.
5. არჩევანი ამხანაგობის გამგესი, მმართველობის წევრთა, სარედაქციო კომისიის ხუთი წევრისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა.

ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს წევრთა: 1) ვისაც ჰსურს კრებას წარუდგინოს განსახილველად რაიმე წინადადება, გამოუგზავნოს იგი გამგეობას ივნისის ოთხამდე, 2) ვისაც ყრილობაზე დასწრება არ შეუძლია, გამოუგზავნოს გამგეობას: რწმუნების წერილი ქალაქში მცხოვრებ რომელისამე წევრის სახელზე. წევრნი, რომელთაც პაის ვალი არ შეუვსიათ, კრებას ვერ დაესწრებიან. დარჩენილ ფულის შევსება შეიძლება კრების დღემდე.

ყრილობა იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 7 საათზე.

არა-წევრთ კრებაზე დასწრება აღეკრძალებათ.

---

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი,**—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ქ. ი. ფრანცისი,** 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში ამა 1894 წლის 8 ივნისს, საღამოს 8 საათზედ იჯარით იქნება გაცემული ორის წლითა და ექვსის თვით, ამა 1894 წლის 1 ივნისიდგან 1897 წლის იანვრამდე ამ სემინარიის კუთნილი სამი დუქანი სარდაფით და სამეჯინიბოთი, რომელიც იმყოფება ტფილისს, პოლიციის მესამე ნაწილში, მჭედლების ქუჩაზედ. ეხლა ამ მამულს საიჯარადრო ფული შემოაქვს 600 მან.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე.

(1—1262—1)

---

## დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“ (დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

(50—1234—5)

---

## ახალი ამბავი!

# ლამპრის პატრუქები

გაქლინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

პაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე ვართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

მაღრამისა—ავჭალის ქუჩაზედ.

ა. ზ. როსტომოვისა—პუშკინის ქუჩაზედ, ერევნის მოედნის პირდაპირ.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ქ. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.

(15—10)

---





**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უკეთესი საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---



ახლად მოგონილი მაშინა „ელავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.